585
1989

ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარეებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

344

№ 7

1989

უმაღლესი საბჭოს
უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 7 (588) ივლისი 1989 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

122. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში 1989 წელს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შედეგების შესახებ“ საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების მოხსენებითი ბარათის თაობაზე.
123. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ონის რაიონის სოფელ მთისკალთისათვის სახელის გადარქმევის შესახებ.
124. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის ცხრებითი წესის შესახებ.
125. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონისა და რაიონული ცენტრის სახელწოდებათა აღდგენის შესახებ.
126. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ.
127. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სანინო კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ.
128. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონის № 24 კაბუშტი ბაგრატიონის, მცხეთის რაიონის № 99 დიდმის, ახალქალაქის რაიონის № 142 არაკვის, თეთრი წყაროს რაიონის № 160 მანგლისის, ბოლნისის რაიონის № 164 ქვემო ბოლნისის, ყვარლის რაიონის № 219 ყვარლის, ქალაქ წყალტუბოს ზონის № 273 მაღლაკის, ქალაქ სოხუმის № 359 კალინინის, ქობულეთის რაიონის № 411 ქობულეთის, ხელვაჩაურის რაიონის № 419 ახალშენისა და ცხინვალის რაიონის № 433 ცხინვალის სასოფლო საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპ. ბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

129. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება წალკის რაიონში აშალისა და რეხის სასოფლო საბჭოების შექმნისა და სოფელ ზემო აშალის გაუქმების შესახებ.

130. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. გ. გოგელიას საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

131. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

განყოფილება მეორე

132. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახალხო განთლების დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

133. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

134. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ვ. დონდოლაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

135. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. დ. ნოზაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

136. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. ვ. პლიევისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

137. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. უ. ლ. ხმიადაშვილისათვის „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

138. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

139. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

140. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

141. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

142. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ .ვ. რ. ბოთორაშვილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

143. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ე. გიგიბერიასათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

144. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. მ. გოგლიძისათვის „საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

145. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ა. გორდელაძისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

146. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. შ. კუხიანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

147. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ე. ნ. ლოგუტიაევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

148. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ა. მარგველაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოება შესახებ.

149. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. გ. მირზაშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

150. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ა. ფაცაციას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

151. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ა. შარაშენიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

152. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. მ. შენგელაიასათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

153. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. კ. ჭანკვეტაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

154. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ა. ჭიჭინაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

122 „საქართველოს სს რესპუბლიკაში 1989 წელს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შედეგების შესახებ“ საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების მოხსენებითი ბარათის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. „საქართველოს სს რესპუბლიკაში 1989 წელს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შედეგების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების მოხსენებითი ბარათი მიღებულ იქნეს ცნობად.

2. საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებამ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს გამოვლენილ ნაკლოვანებანი გაითვალისწინოს საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა და ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნებისათვის მოსამზადებელი საარჩევნო კამპანიის ჩატარებისას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 4 ივლისი.
№ 2218—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

123 ონის რაიონის სოფელ მთისკალთისათვის სახელის გადარქმევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გადაერქვას სახელი ონის რაიონის მთისკალთის სასოფლო საბჭოსა და სოფელ მთისკალთას და ეწოდოს მრავალძალის სასოფლოს საბჭო და სოფელი **მრავალძალი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 5 ივლისი.
№ 2219—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

124 მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. „მოქალაქეთა გაერთიანებების შესახებ“ კანონის მიღებამდე დამტკიცდეს მოქალაქეთა ინიციატივით შექმნილი საზოგადოებების, საზოგადებრივი თვითმოქმედების ორგანოების, სხვა საზოგადებრივი ორგანიზაციების, მათი კავშირებისა და საზოგადოებრივი მოძრაობების (შემდგომში მოიხსენიება, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციები) წესდებათა რეგისტრაციის შემდეგი წესი:

1) საზოგადებრივი ორგანიზაციები თავიანთ წესდებებს ამტკიცებენ დამფუძნებელ კრებაზე, ყრილობასა ან კონფერენციაზე და წარადგენენ რეგისტრაციისათვის მათი მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში;

2) საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა მოიცავს რესპუბლიკის ტერიტორიას, აგრეთვე ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა მოიცავს ორი და მეტი რაიონის ან რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის (ქალაქის რაიონის) ტერიტორიას, თავიანთ წესდებებს რეგისტრაციისათვის წარადგენენ შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში ან თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომში, რომლებიც ამტკიცებენ წესდებათა რეგისტრაციას.

საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის საქმიანობა მოიცავს ერთი რაიონის, ქალაქის (ქალაქის რაიონის) ტერიტორიას, თავის წესდებას წარადგენს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომში;

3) წესდება რეგისტრაციისათვის გადაიცემა ორ ეგზემპლარად საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან აღმასრულებელი ორგანოს თავმჯდომარის ხელმოწერით. წესდებას თან ერთვის დამფუძნებელი კრების, ყრილობის ან კონფერენციის ოქმის ასლი;

4) **წესდება უნდა ითვალისწინებდეს:**

ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს;

წევრად მიღებისა და წევრობიდან გასვლის წესს;

წევრების (საზოგადებრივი მოძრაობის მონაწილეების) უფლებებსა და მოვალეობებს;

ორგანიზაციის სტრუქტურას;

პირველადი ორგანიზაციების შექმნის წესს;

კონფერენციის ან საერთო კრების მოწვევის წესსა და მათს კომპეტენციას;

ხელმძღვანელი ორგანოების არჩევის წესსა და მათს კომპეტენციას;

ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელების წესს;

სახსრების წყაროებსა და მათი გამოყენების წესს;

მოხ. 124
ეროვნული
ბიბლიოთეკა

წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესს;

საქმიანობის შეწყვეტის წესს.

წესდებებში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ორგანიზაციისა და საქმიანობის **წესის სხვა საკითხებიც;**

5) ორგანო, რომელმაც რეგისტრაციაში უნდა გაატაროს წესდება, განიხილავს მას მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში. წესდება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და მოქმედ კანონმდებლობას. წესდების რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტაში აუცილებელია საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან აღმასრულებელი ორგანოს რწმუნებული პირის მონაწილეობა.

6) ორგანო, რომელმაც რეგისტრაციაში უნდა გაატაროს წესდება, იღებს გადაწყვეტილებას მისი რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, რის თაობაზეც, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში, წერილობით ეცნობება წესდების სარეგისტრაციოდ წარმდგენ ორგანიზაციას. წესდების რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში უნდა მიეთითოს კონკრეტულ ნორმატიულ აქტსა და მის დებულებაზე, რომელთაც წარმოდგენილი წესდება ეწინააღმდეგება;

7) წესდების რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ შეიძლება გასაჩივროს მისი მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

2. ბრძანებულების ძალაში შესვლამდე შექმნილი ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციები ამ ბრძანებულების მოთხოვნათა შესაბამისად თავიანთ წესდებებს რეგისტრაციისათვის წარადგენენ ბრძანებულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

3. საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ თავის წესდებაში რეგისტრაციის შემდგომ შეტანილი ცვლილებები რეგისტრირებულ უნდა იქნეს ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული წესის მიხედვით. ხოლო თუ საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ გადაუხვია წესდებით დადგენილ მიზნებსა და ამოცანებს, ორგანოს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება რეგისტრაციის თაობაზე, შეუძლია გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება. ასეთი გადაწყვეტილება საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ შეიძლება გასაჩივროს ამ ბრძანებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. ეს ბრძანებულება ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Ო. ჩერკეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ქვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 6 ივლისი.
№ 2223—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

125 საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონისა და რაიონული ცენტრის სახელწოდებათა აღდგენის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მხარი დაეჭიროს საზოგადოებრივ აზრსა და მშრომელთა წინადადებებს მარტვილის რაიონისა და ქალაქ მარტვილის, ოზურგეთის რაიონისა და ქალაქ ოზურგეთის, ხარაგაულის რაიონისა და დაბა ხარაგაულის, სენაკის რაიონისა და ქალაქ სენაკის, ხონის რაიონისა და ქალაქ ხონის სახელწოდებათა აღდგენის შესახებ, რომლებიც მოიწონეს სახალხო დეპუტატთა გეგეჭკორის, მახარაძის, ორჯონიკიძის, ცხაკაიას და წულუკიძის რაიონული საბჭოების სესიებმა.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1936 წლის 3 აგვისტოს დადგენილება „მარტვილის რაიონის და მისი ცენტრის სოფელ მარტვილის სახელწოდების შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1936, № 23, მუხ. 128);

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1934 წლის 9 ივლისის დადგენილება „ქალაქ ოზურგეთის ქალაქ მახარაძედ და ოზურგეთის რაიონის ფილიპე მახარაძის რაიონად გადარქმევის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1934, № 21, მუხ. 178);

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1932 წლის 13 თებერვლის დადგენილება „ხარაგაულის რაიონის ორჯონიკიძის რაიონად გადარქმევის შესახებ“ (სრულიად საქართველოს ცაკის ოქმი, 1932, № 2, მუხ. 29);

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 21 ივლისის გრძანებულება „საქართველოს სსრ ორჯონიკიძის რაიონის დაბა ხარაგაულის დაბა ორჯონიკიძედ გადარქმევის შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1949, № 10-11 (23-24), მუხ. 85);

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1935 წლის 17 ივნისის დადგენილება „სენაკის რაიონის მიხა ცხაკაიას რაიონად, ქალაქ სენაკის — ქალაქ მიხა ცხაკაიად, ხოლო სენაკის რკინიგზის სადგურის — სადგურ მიხა ცხაკაიად გადარქმევის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1935, № 18, მუხ. 110).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 6 ივლისი.
№ 2225—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

126 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლის მეექვსე ნაწილი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 11, 1971 წ., № 10, მუხ. 170; 1984 წ., № 4, მუხ. 100) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წინასწარი გამოძიების ორგანოს, პროკურორის ან სასამართლოს მიერ იურიდიული დახმარების საფასურის გადახდისაგან ბრალდებულის განთავისუფლების შემთხვევაში ადვოკატის შრომა ანაზღაურდება სახელმწიფოს ხარჯზე. ადვოკატის შრომის სახელმწიფოს ხარჯზე ანაზღაურებისას გამომძიებელს, პროკურორს გამოაქვთ დადგენილება ან სასამართლოს — განჩინება, რომელიც ერთდროულად ეგზავნებათ გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს ადგილსამყოფელის მიხედვით იურიდიულ კონსულტაციას — ცნობისათვის და საფინანსო ორგანოს — შესასრულებლად. იურიდიული კონსულტაციისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა განისაზღვრება ადვოკატთა კოლეგიის მიერ მოქალაქისათვის გაწეული იურიდიული დახმარების ანაზღაურების მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 10 ივლისი.
№ 2237—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

127 საქართველოს სსრ საბინაო კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების მე-4 მუხლში დამატების შეტანის შესახებ“ 1988 წლის 14 დეკემბრისა და „კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მათი კუთვნილი საბინაო ფონდის განკარგვის უფლებების გაფართოების შესახებ“ 1989 წლის 10 მაისის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების შესაბამისად, აგრეთვე რესპუბლიკის საბინაო კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ 1983 წლის 4 ივნისის კანონით დამტკიცებული საქართველოს სსრ საბინაო კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1983 წ., № 6, მუხ. 199; 1986 წ., № 12, მუხ. 285) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები და ცვლილებები:

1. მე-8 მუხლის სიტყვების „საცხოვრებელი სახლები“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და ბინები“.

2. 46-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეთერთმეტე პუნქტი:

„II) სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებმაც ინტერნაციონალური ვალი მოიხადეს სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე“.

3. 47-ე მუხლს მესამე პუნქტის შემდეგ დაემატოს მეოთხე პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„4) I ჯგუფის ინვალიდებს, რომლებმაც ინტერნაციონალური ვალი მოიხადეს სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე და დაინვალიდდნენ საბრძოლო მოქმედების დროს მიღებული ჭრილობების, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად, ანდა სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას“.

ამ მუხლის მეოთხე პუნქტი ჩაითვალოს მეხუთე პუნქტად.

4. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 54[1] მუხლი:

„მუხლი 54[1] კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სახლებში საცხოვრებელი სადგომებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის თავისებურებანი

კოლმეურნეობების სახლებში საცხოვრებელი სადგომებით მოქალაქეთა უზრუნველყოფისას კოლმეურნეობებს უფლება აქვთ დაწესონ კოლმეურნეობისათვის, შრომითი ხელშეკრულებით კოლმეურნეობებში მომუშავე პირებისა და სხვა მოქალაქეებისათვის, რომლებსაც ეძლევათ საცხოვრებელი სადგომები კოლმეურნეობების სახლებში, საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად მათი ცნობის შედეგათიანი საფუძვლები. კოლმეურნეობის წევრები და სხვა მუშაკები შეიძლება აყვანილ იქნენ საბინაო პირობების გასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე და უზრუნველყოფილ იქნენ საცხოვრებელი ფართობით კოლმეურნეობების სახლებში, მიუხედავად იმისა მუდმივად ცხოვრობენ თუ არა ამ დასახლებულ პუნქტებში.

ცალკეულ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებსა და სხვა მუშაკებს, მათი შრომითი წვლილის გათვალისწინებით, აგრეთვე კოლმეურნეობაში სამუშაოდ მიწვეულ პირებს კოლმეურნეობების სახლებში საცხოვრებელი სადგომები შეიძლება მიეცეთ რიგგარეშე.

საცხოვრებელი ფართობი კოლმეურნეობების სახლებში შეიძლება მიეცეთ ამ კოდექსის 48-ე მუხლით დაწესებული საცხოვრებელი ფართობის ნორმის გადამეტებით.

გადაწყვეტილებანი ამ მუხლით გათვალისწინებული კოლმეურნეობების სახლებში საცხოვრებელი სადგომებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის შეღავათიანი პირობების დაწესების შესახებ, აგრეთვე საცხოვრებელი სადგომებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეთა რიგგარეშე უზრუნველყოფისათვის გამოსაყოფი საცხოვრებელი ფართობის რაოდენობის შესახებ მიიღება კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების მიერ.

სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ამ კოოპერატივების სახლებში საცხოვრებელი სადგომებით მოქალაქეთა უზრუნველყოფისას სარგებლობენ ისეთივე უფლებებით, როგორც კოლმეურნეობები".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 10 ივლისი.
№ 2238—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

128 ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონის № 24 ვახუშტი ბაგრატიონის, მცხეთის რაიონის № 99 დიღმის, ახალქალაქის რაიონის № 142 არაკვის, თეთრი წყაროს რაიონის № 160 მანგლისის, ბოლნისის რაიონის № 164 ქვემო ბოლნისის, ყვარლის რაიონის № 219 ყვარლის, ქალაქ წყალტუბოს ზონის № 273 მაღლაკის, ქალაქ სოხუმის № 359 კალინინის, ქობულეთის რაიონის № 411 ქობულეთის, ხელვაჩაურის რაიონის № 419 ახალშენისა და ცხინვალის რაიონის № 433 ცხინვალის სასოფლო საარჩევნო ოლქების საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის 56-ე მუხლის შესაბამისად დანიშნოს საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები ქალაქ თბილისის № 24 ვახუშტი ბაგრატიონის, მცხეთის რაიონის № 99 დიღმის, ახალქალაქის რაიონის № 142 არაკვის, თეთრი წყაროს რაიონის № 160 მანგლისის, ბოლნისის რაიონის № 164 ქვემო ბოლნისის, ყვარლის რაიონის № 219 ყვარლის, ქალაქ წყალტუბოს ზონის № 273 მაღლაკის, ქალაქ სოხუმის № 359 კალინინის, ქობულეთის რაიონის № 411 ქობულეთის, ხელვაჩაურის რაიონის № 419 ახალშენისა და ცხინვალის რაიონის № 433 ცხინვალის სასოფლო საარჩევნო ოლქებში კვირას, 1989 წლის 27 აგვისტოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 25 ივლისი.
№ 2243—XI

ეროვნული№ 7
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

129 წალკის რაიონში აშკალისა და რეხის სასოფლო საბჭოების შექმნისა და სოფელ ზემო აშკალის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გამოეყოს წალკის რაიონის ავრანლოს სასოფლო საბჭოს სოფლები აშკალა, რეხა, ხანდო და სოფელ აშკალის ბაზაზე შეიქმნას აშკალის სასოფლო საბჭო, ხოლო სოფლების რეხისა და ხანდოს ბაზაზე — რეხის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ რეხაში.

გაუქმდეს სოფელი ზემო აშკალა იმასთან დაკავშირებით, რომ იქ აღარ ცხოვრობს არც ერთი ოჯახი და არ არის სახალხო-სამეურნეო ობიექტები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 25 ივლისი.
№ 2244—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

130 ამხ. ა. გ. გოგელიას საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. არჩილ გრიგოლის ძე გოგელია საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 26 ივლისი.
№ 2245—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

131 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე

ოთარ ვლადიმერის ძე **ქვილითაია** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

ლუდვიგ სიმონის ძე **ხარბედია** — საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს მდივანი.

კომისიის მდივანი

ილია კუკურის ძე **გვარიშვილი** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ადმინისტრაციული ორგანოების ჯგუფის უფროსი რეფერენტი.

კომისიის წევრები:

ნუგზარ აკაკის ძე **წერეთელი** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარის მოადგილე.

ოთარ ხარიტონის ძე **გერძმავა** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე.

ია. ბორისის ძე **გამრეკელი** — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე.

ჯემალ სერგის ძე **ზამბახიძე** — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

კობა არსენის ძე **სუჯაშვილი** — საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრის მოადგილე.

ეთერ მიხეილის ასულ **ჩიქვინიძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის იურიდიული განყოფილების გამგის მოადგილე.

აპოლონ იაკობის ძე **ფალიაშვილი** — ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელგუჯა ბენიამინის ძე **ჩიხლაძე** — საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

გიორგი ილიას ძე **ჭანტურია** — საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ზურაბ დავითის ძე **ჩივაძე** — საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელის“ გენერალური დირექტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 26 ივლისი.
№ 2246—XI

განყოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

132 „საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ **„საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს სისტემის მუშაკებს:

ზინაიდა გიორგის ასულ **ვადაჭკორიას** — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს.

დავით ეპიფანეს ძე **კვაჭაძეს** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

ქეთევან ასლანის ასულ **მამრიკაშვილს** — ქუთაისის № 1 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

ნინო ვარლამის ასულ **პაპუაშვილს** — ქუთაისის № 5 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

პლატონ იასონის ძე **ქავთარაძეს** — ქ. გორის ეკონომიკური ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

ნელი დომენტის ასულ **ჭუჩულორიას** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბესალომ ანდროს ძე ჭანტურიას — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 7 ივლისი.
№ 2236—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

133 „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის მუშაკებს:

გენო პავლეს ძე ზაქალაშვილს — თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის“ გენერალურ დირექტორს.

ნინო უშანგის ასულ თურქაძეს — თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის საამქროს უფროსს.

ვენერა გარლამის ასულ ლაბარტყავას — ქუთაისის სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „გელათის“ მოთავარ ინჟინერს.

ეთერ ნიკოლოზის ასულ მეცხვარიშვილს — თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „გლდანის“ მმსოველს.

რეზო პორფილეს ძე ორჯონიკიძეს — თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ქვეოსტატს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 7 ივლისი.
№ 2235—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

134 ამხ. ვ. ვ. დონდოლაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართულ საბჭოთა სახვით ხელოვნებაში წვლილისათვის ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის გან-

ყოფილების მთავარ მხატვარ-კონსტრუქტორს ამხ. ვაჟა ვალერიანის ძე **დონდოლაძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 7 ივლისი.
№ 2232—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

135 ამხ. ა. დ. ნოზაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი სამეცნიერო მუშაობის დარგში პროფესორი ალექსანდრე დავითის ძე **ნოზაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 7 ივლისი.
№ 2231—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

136 ამხ. ხ. ვ. კლიეკვისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ გამომშვებს ამხ. სოკრატ ვლადიმერის ძე **პლიევს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 7 ივლისი.
№ 2234—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

137 ამხ. უ. ლ. ხმიადაშვილისათვის „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ავტოტრანსპორტზე ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ცხინვალის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს ამხ. უშანგი ლევანის ძე ხმიადაშვილს მიენიჭოს „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

15222

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერძეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 7 ივლისი.
№ 2233—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

138 „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში წვლილისათვის მიენიჭოთ „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემის მუშაკებს:

ჯულიეტა დიმიტრის ასულ **გონაშვილს** — ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ექიმ ციტოლოგს.

ნორა ნიკოლოზის ასულ **დოგრაშვილს** — რესპუბლიკური სტომატოლოგიური პოლიკლინიკის უფროს მედდას.

მაია ალექსანდრეს ასულ **ოოფურიძეს** — პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რენტგენოლოგს.

ენუქი სერაპიონის ძე **ირემაძეს** — გარდაბნის რაიონის მთავარ ექიმს.

გივი გალაქტიონის ძე **კანდელაკს** — სანიტარიული ავიაციის სამსახურის განყოფილების გამგეს.

თამაზ პეტრეს ძე **კერესელიძეს** — ი. ყორდანიას სახელობის ადამიანის გენერაციული ფუნქციის სამეცნიერო-კვლევითი ინტიტუტის დირექტორის მოადგილეს სამკურნალო დარგში.

ბორის კონსტანტინეს ძე **ყიფიანს** — ქ. თბილისის № 1 კლინიკური საავადმყოფოს ოტოლარინგოლოგიური **განყოფილების გამგეს.**

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რ. სრულ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინა პავლეს ასულ **შალიკაშვილს** — სამტრედიის სამშობიარო სახლის მთავარ მედდას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 13 ივლისი.
№ 2241—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

139 „საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ **„საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება:

ავთანდილ დომენტის ძე **ბენდუქიძეს** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი მათემატიკის კათედრის დოცენტს.

დავით ეკგენის ძე **ცინცაძეს** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის დოცენტს.

ნადეჟდა ვასილის ასულ **ჭიჭაშუას** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის კათედრის **დოცენტს.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 31 ივლისი.
№ 2263—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

140 „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **„საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ლუდმილა თადეოზის ასულ **ბეკოევას**—სამხრეთ ოსეთის საოლქო საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეს **სამკურნალო დარგში.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემფირა ლეონიდეს ასულ **ცხოვრებოვას** — სამხრეთ ოსეთის სანიტარიულ განათლების საოლქო სახლის მთავარ ექიმს.

ნიკოლოზ გიორგის ძე **ძაგოევს**—სამხრეთ ოსეთის საოლქო საავადმყოფოს ქირურგ-ორდინატორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 31 ივლისი.
№ 2265—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

141 „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ტრანსპორტზე ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ვლადიმერ თევდორეს ძე **ბოჩაროვს** — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მძღოლს.

შამილ შამშეს ძე **ფალიანს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი სამეურნეო სამმართველოს ავტობაზის მთავარ ინჟინერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 31 ივლისი.
№ 2264—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

142 ამხ. ბ. რ. ბოთერაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. გიორგი რაფაელის ძე **ბოთერაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 31 ივლისი.
№ 2250—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

143 ამხ. ვ. ე. გიგიგერიასათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ფოთის საწარმოო გაერთიანების მთავარ ბუღალტერს ამხ. ვალია ესტატეს ასულ გიგიბერიას მიენიჭოს „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 31 ივლისი.
№ 2261—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

144 ამხ. შ. მ. გოგლიძისათვის „საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს № 1 სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსს ამხ. შოთა მალაქიას ძე **გოგლიძეს** მიენიჭოს „**საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის**“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 31 ივლისი.
№ 2257—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

145 ამხ. ბ. ა. გორდელაძისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის თბილისის № 1 მაცივარკომბინატის მთავარ ინჟინერს ამხ. გივი აკაკის ძე **გორდელაძეს**

საბჭოთა ბიბლიოთეკა

მიენიჭოს „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 31 ივლისი.
№ 2255—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

146 ამხ. ი. შ. კუხიანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პურის მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს ქ. თბილისის პურ-ფუნთუშეულისა და მაკარონის ნაწარმის საცდელ-ექსპერიმენტული კომბინატის დირექტორი ამხ. იოსეგ შალვას ძე **კუხიანიძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 31 ივლისი.
№ 2251—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

147 ამხ. ე. ნ. ლოგუტიაძეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი ამხ. ელენე ნიკოლოზის ასული **ლოგუტიაძეა** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 31 ივლისი.
№ 2254—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

148 ამხ. თ. ა. მარგველაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და პოროფკავშირულ ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განყოფილების გამგე ამხ. თამაზ ალექსანდრეს ძე **მარგველაშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 31 ივლისი.
№ 2252—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

149 ამხ. ნ. გ. მირზაშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კადრებისა და სასწავლო დაწესებულებათა სამართველოს ინსპექტორ-მეთოდისტს ამხ. ნუგზარ გიორგის ძე **მირზაშვილს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 31 ივლისი.
№ 2260—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

150 ამხ. ო. ა. ფაცაციას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობის და დიდი საწარმოო მიღწევებისათვის საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწველის“ გენერალური დირექტორი ამხ. ოთარ ამბაკოს ძე ფაცაცია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზიანი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 31 ივლისი.
№ 2253—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

151 ამხ. ვ. ა. შარაშენიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს ამხ. ვიქტორ აბიბოს ძე შარაშენიძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზიანი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 31 ივლისი.
№ 2262—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

152 ამხ. ვ. მ. შენგელაიასათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსის მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილეს ამხ. ვაჟა მიხეილის ძე შენგელაიას მიენიჭოს „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 31 ივლისი.
№ 2258—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

153 ამხ. თ. კ. ჭანკვეტაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დაგეგმვა-დაფინანსების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური და სოციალური ბაზის განვითარების სამმართველოს საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსის მოადგილეს ამხ. თინათინ კალისტრატეს ასულ ჭანკვეტაძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 31 ივლისი.
№ 2259—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

154 ამხ. ლ. ა. ჭიჭინაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს ამხ. ლონიცა აპოლონის ასულ ჭიჭინაძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 31 ივლისი.
№ 2256—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

6 ივლისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომაზე ინფორმაცია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების უპირველესი ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ო. ე. ჩერქეზიამ.

აღინიშნა, რომ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ მიღებული დადგენილება „სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“, რომლის მიზანია ქვეყნის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფა, საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების მთელს საქმიანობას.

ყრილობაზე გამოთქმული ყველა ნოვატორული, კონსტრუქციული იდეა უნდა განზოგადდეს და გამოყენებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, რესპუბლიკის ყველა საბჭოთა ორგანოს მუშაობაში, აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ყრილობისათვის მოსამზადებელ საქმიანობაში.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველს სსრ მინისტრთა საბჭომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონულმა და საქალაქო საბჭოებმა განიხილონ ყრილობაზე წამოჭრილი, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები და მიიღონ ზომები მათს სარეალიზაციოდ.

ყოველმხრივ შეაფასონ და გაითვალისწინონ პრაქტიკულ საქმიანობაში დეპუტატთა ყველა კრიტიკული შენიშვნა და წინადადება, რომლებიც ეხება სხვადასხვა ტერიტორიების განვითარებას, ადგილობრივი მეურნეობის განმტკიცების გზებს; სისტემატურად მიაწოდონ მოსახლეობას ინფორმაცია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე გამოთქმული კონკრეტული კონსტრუქციული წინადადებების რეალიზაციისათვის გაწეული მუშაობის შესახებ.

ყველა დონის სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მითითებათა შესაბამისად სრულყონ საბჭოთა მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები, უფრო ფართოდ მიუსადაგონ იგი ხალხის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს, მიმართონ ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებასთან, სასურსათო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველაზე საარსებო პრობლემების გადაწყვეტის, ცხოვრებაში ეკონომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კური რეფორმის უფრო აქტიური გატარების, ეკოლოგიური უსაფრთხოების, ადამიანთა სოციალური დაცულობის გაძლიერებისათვის; უფრო დინამიკური და მიზანმიმართული გახადონ ეს მუშაობა, თანამიმდევრულად გადალახონ ნეგატიური ტენდენციები; მკვეთრად გააუმჯობესონ ხალხის სურსათითა და საქონლით მომარაგების საქმე, მდგომარეობა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის. მომსახურების სფეროში, გადაჭრან სპინალ პრობლემა;

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოსახლეობის დაბალხელფასიანი და ნაკლებად უზრუნველყოფილი ნაწილის, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ინვალიდების, ობოლი ბავშვების, მოხუცების, მათი, ვინც გადაუდებელ დახმარებას საჭიროებს, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას;

გადაჭრით იბრძოლონ უპასუხისმგებლობის, ბიუროკრატიზმის ყველა გამოვლინების წინააღმდეგ;

გადასინჯონ საკადრო მუშაობის სტილი, მიაღწიონ, რომ საბჭოთა აპარატში მუშაობდნენ საღად მოაზროვნე, ენერგიული, გამჭრიახი ადამიანები; საბჭოთა მუშაკების შერჩევის ძირითადი კრიტერიუმი გახადონ ადამიანებთან თანამშრომლობის, მათი დარწმუნების, გაყოლიების, საზოგადოებრივ პროცესებში ღრმად გარკვევის, დიალოგის გამართვის, მიტინგებზე გამოსვლის, საბჭოების აზრისა და საკუთარი თვალსაზრისის დაცვის უნარი;

სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა პარტიულ ორგანოებთან ერთად უხელმძღვანელონ მოსახლეობის, ახალგაზრდობის, საზოგადოებრივი თვითმოქმედი ფორმირებების საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაკქიურების პროცესს. ამასთან ყველაზე მწვავე საკითხებზე გამართონ დიალოგი მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიებთან;

XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გააძლიერონ ყურადღება ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხთა მთელი კომპლექსისადმი;

ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესმა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა საოლქო, რესპუბლიკის რაიონულმა და საქალაქო საბჭოებმა მეტი ყურადღება დაუთმონ სელიერ და ზნეობრივ სფეროში, კულტურისა და განათლების განვითარებაში, ახალგაზრდობის აღზრდაში მიმდინარე პროცესების ღრმა ანალიზს და პარტიულ ორგანოებთან ერთად უზრუნველყონ ეფექტიანი მუშაობა ამ მიმართულებით;

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა საჭირო პირობები შექმნან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა წარმატებული საქმიანობისათვის, მათი აქტიური შემოქმედებითი მონაწილეობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, საარჩევნო ოლქებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი დეპუტატთა სამართლებრივი მომზადების დონის ამაღლებას, პოლიტიკური და ეკონომიკური ცოდნის გაღრმავებას;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესმა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა გაშალონ მუშაობა ქვეყნის პოლიტიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენის — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის შედეგების ახსნა-განმარტებისათვის;

ორგანიზაცია გაუკეთდეს ყრილობის მასალებისა და გადაწყვეტილებების ღრმად შესწავლას ყველა დონის საბჭოების დეპუტატთა სკოლებში, სახალხო დეპუტატთა რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებულ საბჭოთა აქტივის სემინარ-ლექტორიუმებზე, შრომითს კოლექტივებში და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას. ამ საქმიანობაში ფართოდ იქნენ ჩაბმულნი საბჭოების, მათი ორგანოების მუშაკები, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორები, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი.

სხდომაზე დამტკიცდა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებათა გეგმა.

*

* *

პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე საკითხები: მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ, საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონისა და რაიონული ცენტრის სახელწოდებათა აღდგენის თაობაზე, მოქალაქეთა განცხადებების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ, ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის ამხ. ა. ი. მაზმიშვილის ვადამდე განთავისუფლებისა და წითელი წყაროსა და გურჯაანის რაიონების სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებად ამხ. ამხ. დ. დ. ნადაშვილისა და ი. ვ. უტიაშვილის არჩევის შესახებ და სხვ.

ყველა განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.